კვირა, მარტის 23 1919 წ. ფასი ათი შაური. № 48.

# ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე.

რედაქცია

სამაზრო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილი ხელმოუწერელი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავი წერილები რედაქციას არ იხსნება, ინახება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში.

რედაქციის ღია: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 1 მ., უკანასკნელზე 50 კ. ქალაქ გარეთიდან მიღებული განცხადება ორჯერ ძვირი ღირს. ხშირი განცხადებები: თითოეულ ანუ ერთ-ერთ სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 20 მ., 12 საათის შემდეგ 25 მან.

კანტორის ღია: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფონიაძის ს., ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 50.

საქართველოს ერობა-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ყოველ დღიური გაზეთ

„ჩვენი ქვეყანა“-ზე

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდის.

ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება

„საოჯახო დუქანის“

საზოგადო კრება დანიშნულია კვირას 23 ამა მარტს, საღამოს ოთხ საათზე, ქართველების ქუჩაზე, ებრაელთა სკოლის შენობაში. განსახილველია საკითხები: წლიური ანგარიშის განხილვა და სხვა და სხვა მიმდინარე საკითხებისა. 3—3

## ერობა და ჩვენი სოფელი.

მივიწყებულ სოფელს მხოლოდ ერობა თუ უპატრონებს,—ამბობდა პრესა, ვამბობდით ჩვენც.

ერობის მოვალეობა დიდია.

განუსაზღვრელია მოთხოვნილება სოფლისაც.

სოფელი უპატრონოთ იყო და მისთვის არავინ ზრუნავდა. თვით სოფელს არ შეეძლო თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებია. მრავალი დაბრკოლებანი მას სულს უხუთავდა და ჩვენი სოფელი ცენტრის ველურ ქვეყნების სოფელს უფრო წააგავდა, ვიდრე დაწინაურებული ქვეყნისას.

სკოლების სიმცირით, უგზოობით, ქალაქთან დამაკავშირებლების უქონლობით და ათასგვარი მოუწყობლობით სოფელი ეკონომიურად და კულტურულად წინ ვერ მიდიოდა და თავისი ერთფეროვანი სახე ვერ შეეცვალა.

დღემდის არ არსებობდა ისეთი ორგანო რომელსაც შესძლებოდა სოფლისათვის მზრუნველობა გაეწია. ადმინისტრაცია, რომელიც განაგებდა მთელ მაზრებსა და გუბერნიებს, მხოლოდ უაზრო მიწერ-მოწერებს ანდომებდა თავის ენერგიას და ქვეყნის საქმე როგორც ძველად, ისე რევოლუციის წარმომობიდან, დღემდის მივიწყებული იყო.

მაგრამ ჩაეყარა საფუძველი ერობას და სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესობაც დაიწყო.

ერობა შეუდგა სოფლებში სკოლების გამრავლებას და გაუმჯობესობას, სამკურნალო პუნქტების დაარსებას, ტელეფონების ქსელებით სოფლების მოფენას, სასწრაფო მიდგომების მოწყობას და გზების შეკეთებას, რაც დღემდისაც აუცილებელი იყო სოფლისთვის.

ყველა ეს დარგები დიდ ხარჯებს მოითხოვს და ცხადია ერობას გაუძნელდება დაწყებული საქმის განხორციელება. მაგრამ სოფელი არ უნდა შეუშინდეს ხარჯებს და დახმარება აღმოუჩინოს იმ თვითმართველობას, რომელიც სოფლის მოწყობისათვის ზრუნავს.

ჩვენ ვიცით რომ სოფლად დაგროვილია ფულის დიდძალი ნიშნები, რომელსაც ფასი ყოველდღიურად ეკარგება. უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს ნიშნები საზოგადოების საქმეს მოხმარდეს. თუ სოფელი ერობას თანაგრძნობით არ შეხვდა ცხადია არაფერი არ გაკეთდება და დაწყებული საქმე სათავეშივე ჩაკვდება.

მართალია სოფელი გადასახადებს გაურბის, მაგრამ იმათმა უნდა შეიგნონ, რომ ერობის მიერ აღებული თვითეული გროში ისევ სოფელს მოხმარდება სოფლის გასაუმჯობესებლად, რაც თვითეულ გლეხს მაღლა დააყენებს, როგორც ეკონომიურათ ისე კულტურულათ.

სკოლა, საავადმყოფო, გზები და მეურნეობის გაუმჯობესება, აუცილებელი მცნებაა სოფლის არსებობისათვის, რაც დღემდის ან აკლდა სოფელს ან და სულ არ მოეპოებოდა.

ამ დარგების მოწყობა მხოლოდ ერობას შეუძლია, რომელიც უკვე მუშაობას შეუდგა და ის შეასრულებს თავის მოვალეობას თუ მას სოფელიც თანაგრძნობით შეხვდება.

## „შავი სახადი“.

შავი ანუ წინწკლებიანი სახადი, საშინელი სენია: საშუალო რიცხვით ყოველს ხუთ ავადმყოფში ერთს კლავს.

ეს სენი გადამდებია: კაცს ავადმყოფი კაცისაგან გადაედება. მაგრამ როგორ? რა გზით?

წინეთ ეგონათ, ავადმყოფი ამ სენის წარმომშობ თესლს (უპატარავეს ცოცხალ არსებათ) ნახველის, ოფლის, შარდისა და სხ. საშუალებით ჰაერში გაანთენს და კარგადმყოფს, რომელიც ავადმყოფის ოთახშია. თმა-წვერულებშია და ტანისამოსზე ცდებათ.

მადლობა ღმერთს, რომ ეს აზრი არ გამართლდა და მეცნიერებამ მიაგნო აღმოაჩინა, რომ „შავი სახადი“ გადადის ავადმყოფიდან კარგადმყოფზე ტანისამოსის ტილის საშუალებით: ავადმყოფის ტილი თუ კარგადმყოფს შეხვდება და უკბენს, ავრცელებს „შავი სახადის“ თესლს.

ტილის მიერ კბენილი კაცის ხშირად 8—12 დღის შემდეგ—მინიმუმ 4 დღის და მაქსიმუმ 14 დღის შემდეგ—გამოაჩნდება სახადის ნიშნები. ტილის სენის თესლის აკრიდან სენის პირველი ნიშნების გამოცხადებამდის ყოფნებს ფარული ანუ ინკუბაციური დრო.

ინკუბაციური დროის განმავლობაში კაცი თავს კარგად გრძნობს, სახეში ტკივილებს და თავბრუ შეიძლება გამოაჩნდეს, სენი, ციებ-ცხელება კი აჭერს არის.

სენის გამოცხადების პირველი ნიშანი ის არის, რომ ავადმყოფს საშინლად გააციებს (მეორე დღის სახადით ავადმყოფს ნოტიოდ შეაციებს) და სიცხე უცბად აიწევს ცელზის 39° — 40°-მდის.

მესამე—მეხუთე დღეს (ხან ცოტათი უფრო გვიან) ავადმყოფს გამოაყრის ჯერ მუცელზე და შემდეგ მთელ ტანზე. გამოყრილი წინწკლებს როგორ თითი დააჭირო, სიწითლე გაქრება. მხოლოდ ხელის გულებზე და ფეხის გულებზე, აგრეთვე ხშირად პირის სახეზე არ არის წინწკლები. ხშირად ზოგიერთი წინწკლის შუაგულში სისხლი ჩაიქცევა (გამოიდენება სისხლის პატარა მილებიდან). ამ ადგილებს მოშავწითლო ფერი აქვსთ და თითის დაჭერისაგან სიწითლეს არ კარგავენ, არ უფერულდებიან. სისხლის ჩაქცევა ხანდახან წინწკლებს შორისაც მოხდება ხოლმე.

სიცხე მთელი ორი კვირის განმავლობაში მეტად მაღალია.

ავადმყოფს პირის სახე და თვალები გაწითლებული აქვს, ცნობა მიხდილი აქვს, აბოდებს, ხანდახან ავადმყოფი წამოიდგენს, ვინმე მემუქრებაო, წამოვარდება ზეზე, ებრძვის მომვლელს, შეიძლება სარკმლიდანაც გადავარდეს. მეტადრე მსმელს ემართება ეს.

ამავე დროს შეიძლება სენი გართულდეს ყურების ანთებით, ფილტვების ანთებით, კანის მოლპობით და სხ.

ენაზე თეთრად ან შავად გადაკრული ხაო აქვს.

ავადმყოფს გამობრუნება შეეტყობა 12—14 დღეს. სიცხე ძლიერ მოიკლებს და შემდეგ 2—4 დღეს ნორმალური შეიქნება. მაშასადამე ავადმყოფობა გრძელდება სულ 2—2 ნახ. კვირის განმავლობაში.

ავადმყოფთა 15—20 პროც. კვდება უმეტეს ნაწილად მეორე კვირაზე, უმთავრესად გულის სისუსტისა და ნერვიული სისტემის შიგნ ნორმალური მუშაობის შეწყვეტისაგან. ხანდახან ავადმყოფს პირველ დღეებშივე ჩაექცევა სისხლი კან ქვეშ სხეულის ბევრგან ადგილას. ამგვარი ავადმყოფი პირველ კვირებშივე კვდება.

ხანდახან შავი სახადი უფრო იოლია, ადვილად მიიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ავადმყოფი იხდის სენს 1—1 ნახ. კვირაში.

როგორ უნდა მოუაროთ ავადმყოფს? სასარგებლოა ნესტიანი ქვეყნები, რომელნიც ნერვიულ სისტემას ამშვიდებენ. გულის გასამაგრებელი წამლები (კამფორა და სხ.) თავზე ცივი ტილო ანუ ყინული უნდა ედვას, ტანი უნდა უწმინდოთ ცივი წყლით (რომ კანი არ მოაღრჩეს) და სხ. საჭმელებში—რძის მეტი არა ეჭმევა-რა.

იმავე დროს თავის თავად ცხადია, როგორი უნდა იყოს თადარიგი. თავიდავე—ტილებთან ბრძოლაა. მაშასადამე საუკეთესო საშუალება—საპონია.

გაირეცხეთ და გამოიცვალეთ ხშირად საცვლები, საბნის პირი, ბალიშის პირი, ზეწარი და სხ. იბანეთ ტანი. ეს—ერთად ერთი საშუალებაა.

რატომ არ არის შავი სახადი ევროპაში?! მიტომ, რომ იქ, კაი ხანია, არა იციან რა ტილის. და ეს საზიზღარი კბენარი მხოლოდ უკულტურო, გაუნათლებელ ქვეყანაში მრავლდება გასაოცრად.

დიახ! თუ რომელსამე ქვეყანაში „შავი სახადი“ მძვინვარებს,—ეს ამ ქვეყნის უკულტურობის მომასწავებელია.

სირცხვილია, ტილებს შევეჭამეთ თავი! წყალი ხომ, მადლობა ღმერთს, მრავალი! შევითვისოთ ევროპიული კულტურა! შევიყვაროთ სისუფთავე! ამოვწყვიტოთ! მოვსპოთ აზიური ქეცი! დავემსგავსოთ ევროპიელებს! და მაშინ ჩვენში „შავი სახადი“ სამუდამოდ მოგონებაღა დარჩება!

ექიმი ვასილ წერეთელი.

## უკანასკნელი ცნობები.

### საქართველოს დელეგაცია პარიზში.

რუსეთის რევოლუციის ლიდერები ჩხეიძე და წერეთელი ჩავიდნენ პარიზს, სადაც საზავო კონფერენციას წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს. გაზეთ „პტი პარიზიენის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს მათ განაცხადეს: „საქართველო არ თხოულობს ტერიტორიალურ დამთობას. მას შესწევს ძალა თავისი საქმეები თითონვე მოაწყოს. საქართველო თხოულობს მხოლოდ მას, რომ იცნონ ის დამოუკიდებლად, სუვერენულ სახელმწიფოდ“.

### ახალციხის ფრონტი.

ახალციხე. მარტის 20 საშინელი ცნობა. დღეს ახალციხის ფრონტზე მშვიდობა ჩამოვარდა. მეამბოხეები იარაღს გვაბარებენ. მესამე პოლკის ბატალიონის სარდლის მოხსენებით მის მზვერავებს, რომელნიც მარტის 17, 18 და 19 გაგზავნილი იყვნენ ახალქალაქის მიმართულებით, სოფ. რუსთავის და საფარის მონასტრის რაიონში მეამბოხეებიდან სროლა აუტეხეს. ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობით შეიარაღებული თათრები თავმოყრილნი არიან სოფ. რუსთავში და ოშორაში.

პოლკოვნიკი გედევანიშვილი.

ახალციხის შტაბი. ღამემ მშვიდად ჩაიარა. გუშინ ს. სტეფანწმინდაში გენერალ ართმელაძესთან გამოცხადდა ინგლისის პოლიტიკური გრინგანი და ყარსის გენერალ გუბერნატორის სახელით პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესტი განაცხადა ფოცხოვის რაიონის სოფლების ჩვენი ჯარის მიერ დაჭერის გამო და სთქვა, რომ ჩვენი ჯარის შემდეგი წინსვლა ჩაითვლება ინგლისელთა წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოლაშქრებად. გუშინდელ დღიდანვე შესწყდა ფოცხოველთაგან იარაღის მოტანა.

გენერალი კვინიტაძე.

## დამფუძნებელი კრება.

გუშინ წინდელ სხდომაზე **ე. გეგეჭკორმა ნ. ჟორდანიას** დავალებით წაიკითხა მთავრობის შედგენის შესახებ.

კაბინეთის შემადგენლობა შემდეგია:

მთავრობის თავმჯდომარე—**ნოე ჟორდანია**,

საგარეო საქმეების და იუსტიციის მინისტრი—**ე. გეგეჭკორი**,

შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრი—**ნოე რამიშვილი**,

მიწათმოქმედების, შრომის და გზათა მინისტრი—**ნ. ხომერიკი**,

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის—**კ. კანდელაკი**.

ამის შემდეგ ე. გეგეჭკორმა წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია.

დეკლარაციის განხილვა გადაიდვა შემდეგი სხდომისათვის.

## აფხაზეთი-საქართველოს ნაწილი.

18 მარტს სოხუმში თეატრ „ალონდში“ დიდი ზეიმით გაიხსნა აფხაზეთის სახალხო საბჭო, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დიმიტრი ემუხვარი. საქართველოს მთავრობის სახელით საბჭოს მიესალმა ისიდორე რამიშვილი.

ფრაქციების წარმომადგენლებმა წაიკითხეს დეკლარაციები. დეკლარაციების განხილვის შემდეგ 20 მარტს საბჭომ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია, რომ აფხაზეთი შევა საქართველოს რესპუბლიკაში, მხოლოდ ექნება მინიჭებული ავტონომია.

რეზოლიუციის გამოქვეყნებას საბჭოს წევრები და დიდძალი დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებით და ოვაციებით შეხვდა.

## რუსეთი.

(საქ. დეპ. სააგენტო).

**მოსკოვი.** მარტის 20. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. მოსკოვი. მარტის 20. რუსეთის კომ. პარ. 8 ყრილობამ კომუნისტურ ინტერნაციონალის საკითხის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ყრილობა ესალმება მე-3-მე ინტერნაციონალს და სავსებით უერთდება მის დებულებებს. რუსეთის კ. პ. მთელის თავისი ძალ-ღონით იბრძოლებს მე-3-მე ინტერნაციონალის მიზნების განსახორციელებლად.

**ხარკოვი.** მარტის 20. გუშინ ჩვენმა ჯარმა სადგურ ბერეზოვკასთან შეუტია ვოზნესენსკის და ოდესის შუა, სადაც ბერძნები და მოხალისენი იყვნენ გამაგრებული. მოწინააღმდეგე დავამარცხეთ და გავაქციეთ. ჩვენ დაგვრჩა 1000 ტყვიის მფრქვეველი, ზარბაზნები, ჯავშნოსანი მატარებელი, 7 ორთქლმავალი, მრავალი სამხედრო მასალა და ცხენები. ხელში ჩაგვივარდა ორი შტაბი. მოწინააღმდეგეს 500 კაცი დაეღუპა. ჩვენ კი 20.

## ახალი ამბავი

ქ უ თ ა ი ს ი.

**საერო კონცერტი.**

**სამშაბათს 25 მარტს.** ქალაქის თეატრში, ქუთათელ მიტროპოლიტის მგალობელთა გუნდის მიერ, ბათლომე კუხიანიძის ლოტბარობით, გამართული იქნება ფრიად საყურადღებო ქართული საერო კონცერტი ორ დიდ განყოფილებათ. გუნდის მიერ შესრულებული იქნება საქართველოს „ეროვნული ჰიმნი“ სიტყვები და მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა, ქართული საომარი სიმღერა „ლაშქრული“ მისივე; ეროვნული მარში: „გამარჯვება საქართველოს“ სიტყვები და მუსიკა მ. ბალანჩივაძისა და აგრეთვე ხალხური და ეროვნული სიმღერები გადაღებული ცნობილი მუსიკოსების ძმ. შარაბიძეების მიერ.

◆ **ეროზის სავეტერინარო ნაწილის გამგის მოხსენება.** აქიმმა შენგელიამ, 21 მარტს ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობაში მოხსენება წარადგინა ამ მოხსენების მიხედვით ქუთაისის მაზრა უნდა დანაწილდეს 5 სავეტერინარო უბნათ. თითო უბანში უნდა მოეწყოს საქონლის თითო საავათმყოფო, სახელდობ: სამტრედიაში, ხონში, ვანში, ბაღდადში და კურსებში. მომხსენებლის აზრით ქუთაისის მაზრაში საქონლის ჭირის სრულ მოსასპობად საჭიროა ქუთაისის შრატის დასამზადებელ სადგურთან დაარსდეს მაზრის ფილიალური განყოფილება, რისთვისაც ერთდროულად ერობას დასჭირდება 100 ხარის ყიდვა, რომელიც საშვალებას მისცემს მას დაამზადოს თვეში 350 ლიტრი შრატი.

◆ **შემოწირულება.** ოზურგეთის სამაზრო ერობამ სადგურის საჭიროებისათვის შემოსწირა 8000 მანეთი.

◆ **ქალაქის თეატრი.** დღეს ქალაქის თეატრში ქართულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ზუდერმანის სამმოქმ. დრამა „ქვის მთლელნი“.

◆ **მიწის ძვრა** პარასკევს **21 მარტს,** ნაშუადღევის 2 საათზე შენიშნული იყო მიწის ძვრა, რამაც საფიჩხიაზე დაანგრია ერთი სახლი.

◆ **ტელეფონის მოსაწყობათ** ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ მიწერილობა გაუგზავნა ერობათა და ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, რომ ერობა თხოვს ერობათა და ქალაქთა კავშირს ტელეფონის ქსელის მოსაწყობათ კავშირმა დაუთმოს მას 60 ვერსტის სივრცისათვის საჭირო მავთული, 6 ტელეფონის აპარატი და სხვა.

◆ **ტექნიკების ამუშავება.** ქუთაისის საერობო გამგეობამ დაადგინა გაგზავნოს გზის ტექნიკები სამტრედია, ტყიბულის, ხონის და ბაღდადის რაიონების გზების სარემონტო სამუშაოებზე.

◆ **მარილი.** ქუთაისის მაზრის ერობის გამგეობამ მიიღო ექვსი ვაგონი მარილი.

◆ **ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ:** 1 მარტს, დილის 8 საათზე სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნებულა თამარა მაკარის ასული ყიფშიძე. თუ ვინმემ იმის შესახებ რამე იცის ვთხოვთ შეგვატყობინონ შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ბალახვნის ქუჩა, სახლი № 2[illegible].

◆ **„შლიაპების“ კურსები** [illegible] და ორპირის ქუჩ. კუთხეში გაიხსნა „შლიაპების“ კურსები შეგირდების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12—6 საათამდის. იქვე მიიღება შეკვეთა და გადაკეთება.

◆ **ვაჭარ მრეწველთა საბჭოსთან** არსებული სამხედრო კომისიის სხდომა მოხდება 26 მარტს. ამის გამო კომისიის წევრებმა სამხედრო საჭიროებისათვის ფულის შეგროვება 26 მარტამდი უნდა დაასრულონ.

◆ **დაიბეჭდა და ამ დღეებში** გამოვა გასაყიდლად ა. ჩიქოვანის სახელმძღვანელო: **„მცენარეები“**, უმაღლეს დაწყებითი და საშუალო სასწავლებლებისათვის გამოცემა „განათლების“ ამხანაგობისა.

## პატარა ფელეტონი.

### თავადის ლექციაზე.

პარასკევს, 21 მარტს ქალაქის თეატრის მხატვრულად მორთულ სცენიდან სარევოლიუციო პარტიის ცნობილმა ლექტორმა თავადმა სამსონ დადიანმა ლექცია წაიკითხა.

მიუხედავათ იმისა, რომ კოკისპირული წვიმა იყო ლექტორმა დიდძალი ხალხი მიიზიდა.

თეატრის ახლო მდებარე ქუჩები საზოგადოებით იყო ავსებული.

უკრავდა სამხედრო მუსიკა და გაისმოდა რევოლიუციონური საგალობლები.

ლექცია დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

თურმე ფედერალისტებს პოზიციებისათვის თავი დაუნებებიათ და მტრის ბანაკში გადასულან.

—რამ გამოიწვია ეს?

ჰკითხეს კერძოთ თავადს.

—სოციალ დემოკრატებმა, რომ მინისტრების სავარძლები წაგვართვეს ამა როგორ უნდა მოვქცეულიყავით?

თუ ჩვენ არ ვიქნებით, საქართველო მეწყერსაც წაუღიაო.

დაათავა თავადმა დადიანმა.

**მაშვრალი.**

## სახელმწიფო კონტროლიორის გ. ფ. ბოჟირაიშვილის

**მოხსენება საქართველოს დამფუძნებელ კრების 14 მარტის სხდომაზე.**

1917 წლის 12 მარტის დადგენილებით რუსეთის დროებითი მთავრობისა სახელმწიფო კონტროლიორს უფლება ჰქონდა მინიჭებული, სადაც და როდესაც იგი საჭიროდ დაინახავდა, მუდმივი წინასწარი კონტროლი დაეწესებია. თანახმად ამ კანონისა, მე გადავწყვიტე შემომეღო წინასწარი კონტროლი გასულ წლის 9 ნოემბრიდან ყველა ხარჯებისათვის, რომლებსაც ახდენენ სამინისტრონი და თფილისში არსებული მთავრობის მართველობანი, დაწესებულებანი და სახელოსნოები: ეს კანონიერი გადაწყვეტილება ვაცნობე მთავრობას და ყველა სამინისტროებს და შევატყობინე, რომ ამის შემდეგ არც ერთი მოთხოვნა ფულისა ბანკების სახელზე არ იქნება განაღდებული, უკეთუ ამ დოკუმენტებს არ ექნება გრიფი სახელმწიფო კონტროლისა მეთქი.

მე არ ვეჭვობდი ასეთი რთულისა და ახალი საქმის სიძნელეში, არ ვეჭვობდი იმაშიც, რომ კონტროლი ვერ აიცდენს და უწყების მხრით საყვედურებს, თითქოს წინასწარი რევიზია აფერხებს საქმეს, აგვიანებს გადახდას და სხვა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, კონტროლი მაინც შეუდგა წინასწარი რევიზიის განხორციელებას და ხსენებულ რიცხვიდან მოკიდებული ეს რევიზია სწარმოებს, თუმცალა კონტროლის მოხელეებს უხდებათ მუშაობა არა ჩვეულებრივ პირობებში,—საჩქაროდ და მრავალ რიცხოვან მოთხოვნილებისა, კერძო პირთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა მუდმივი იერიშების ქვეშ, რომელნიც, ხშირათ მუქარითაც კი, მოითხოვენ „დაუყონებლივ“ კონტროლის მიერ დამტკიცებას ასიგნობისას, მიუხედავათ იმისა, არის იმისათვის საჭირო საბუთი და საფუძველი თუ არა.

წინასწარი რევიზიის ცდამ მოგვცა სწორედ ის შედეგები, რომელთათვის ზრუნავდა კონტროლი. დაახლოვებით სამი თვის განმავლობაში (9 ნოემბრიდან 1 თებერვლამდე) შემოვიდა საწინასწარო რევიზიოდ ყველა უწყებიდან (გარდა რკინის გზისა, რომელზედაც ეხლავე ცალკე მოგახსენებთ) 5942 ასიგნობა, საერთო ჯამით 93.550.525 მან. 63 კაპ. რომელთაგან სამხედრო უწყებასა და სახალხო გვარდიის შტაბს უწევს 55.719.813 მან. 35 კაპ. ამ თანხიდან მიჩნეულია სწორედ და დამტკიცებულია 20.413063 მან. 53 კაპ., გადადებულია შემდგომი რევიზიისათვის 70.082.731 მან. 87 კაპ. და დაუმტკიცებელია 3.052.730 მან. 22 კაპ. ეს უკანასკნელი თანხა (3 მილიონი), მაშასადამე კონტროლის დაუმტკიცებლობის მიზეზით არ იქნა გამოწერილი დასახარჯავად და დარჩა ხაზინაში.

70.082.731 მან. 87 კაპ. ხარჯი გადადებულ იქმნა შემდგომი რევიზიისათვის უმთავრესად იმიტომ, რომ უფრო დიდი ნაწილი გამოთხოვილი იყო ავანსის სახით (სამხედრო უწყებისა და სახალხო გვარდიისათვის), ხოლო ავანსი საზოგადოდ უნდა გამართლებულ იქმნეს მხოლოდ შემდეგ მისი დახარჯვისა. არა მცირე ნაწილი აღნიშნული ხარჯისა გაცემულია, სხვა და სხვა შემთხვევის გამო, იმ დაწესებულებათათვის, რომელთა შტატი საბოლოოდ კიდევ არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული; ხან და ხან ხსენებული შტატები მთავრობის მიერაც კი არ იყო დამტკიცებული. ყველა ამ შემთხვევებში კონტროლმა შეუძლებლად სცნო ხარჯების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებია, ვინაიდან ეს შეაჩერებდა მთავრობისათვის საჭირო ორგანიზაციებისა და მთელ დაწესებულებათა მოქმედებას. მაგრამ ამტკიცებდა რა ასეთ ხარჯებს პირობით, სახელმწიფო კონტროლი დაჟინებით მოითხოვდა უწყებათაგან, რომ მათ დაეჩქარებიათ შტატების შემუშავება და დასამტკიცებლად წარედგინა, რაც მათ უმრავლეს შემთხვევაში კიდევაც შეასრულეს.

ხოლო რაც შეეხება დასახარჯავად განზრახულ ჯამის (3.052.730 კ.) დაუმტკიცებლობის მიზეზებს, ასეთები მრავალნაირი იყო; მაგალითად იყო არითმეტიკული შეცდომა გამოანგარიშებაში, არ იყო საბუთი, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო ამა თუ იმ ფულის მოთხოვნის სისწორის დამტკიცება, არ იყო გამართლებული წინეთ მიცემული ავანსი, სრულებით არ იყო მთავრობის მიერ ნებადართული კრედიტი და სხ.; ხანდახან მიზეზი იყო ხაზინისადმი პრეტენზიის ცხადი უკანონობაც.

დიდი ნაწილი გადარჩენილი ანუ დაზოგვილი ხარჯებისა უწევს მთავრობის ერთი დაწესებულების ანგარიშების გასწორებას მეორესთან, რომლისაც განზრახული იყო ფული გადატანით კერძო კასებში. იმის მაგივრათ, რომ ფული შეტანილი ყოფილიყო ხაზინაში და ჩარიცხულიყო ხაზინის შემოსავლად, როგორც ამას მოითხოვს კანონი, ვინაიდან ეს ფული გაყიდულ სახაზინო საქონელსა და ქონებაში იყო აღებული.

წინასწარმა რევიზიამ გარდა ამისა, რომ გადაარჩინა ამდენი თანხა უსწორო და უკანონო დახარჯვას, გადაგვადგმევინა სრულიად განსაზღვრული ნაბიჯი დაწესებულებათა მრავალრიცხოვან მიმდინარე ანგარიშთა გადასასინჯავათ, მრავალ მათგანის დასახურავად, ხაზინაში საკრედიტო ანგარიშწარმოების მოსაწესრიგებლად და დასასრულ—ხელი შეუწყო შტატების შედგენის დაჩქარებას უწყებათა დაწესებულებებში.

წინასწარი რევიზიის ფარგალში შედის აგრეთვე განხილვა: სხვადასხვა გვარი სამეურნეო—საოპერაციო გეგმებისა, ხელშეკრულებათა (ხაზინისათვის საჭირო მასალების მოტანის შესახებ). დასამზადებელ საქონლის ფასებისა, ხარჯთაღრიცხვის ზედმეტ კრედიტებისა და შემწეობისა დაწესებულებებსა და ცალკე პირებისათვის მისაცემათ, ხაზინის გასაცემისა წინანდელ ვალდებულების გასასწორებლად და ბოლოს განხილვა უწყებათა შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტებისა. ცალკე შეკითხვები და მომართვანი მთავრობის დაწესებულებათა, ამ გვარი შემთხვევების გამო, შემოვიდა კონტროლში მთელი საანგარიშო დროის განმავლობაში 300. განხილულ საკითხთა ან შუამდგომლობათა უდიდესი ნაწილი გაშვებული იქნა კონტროლის მიერ პირობით, ე. ი. ჯამის შეკვეცით და მისი მხრით წარდგენილ იქმნა საწინააღმდეგო პასუხი და შენიშვნები—ზოგი ხაზინისადმი პრეტენზიებისა და მოთხოვნათა დაუსაბუთებლობის გამო, ზოგი ამ მოთხოვნათა საჭიროების გამო და ხანდახან კი—მხოლოდ იმიტომ, რომ გამოანგარიშებაში შეცდომა იყო დაშვებული. ამგვარად წინასწარის წესით განხილული შემთხვევების საბოლოო შედეგი გამოიხატა იმაში, რომ ხაზინის ხარჯები შემცირებულ იქმნა 7 მილიონი მანეთით. დასასრულ ორიოდე სიტყვა რკ. გზის ოპერაციების რევიზიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება.

**ქალთა კრება.** კვირას, 23 მარტს, საღამოს 5 საათზე, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ბინაზე მოხდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა და თანამგრძნობ ქალთა კრება. ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

**ჭავჭავაძის ქუჩის საუბნო კრება.** კვირას, 23 მარტს, ნაშუადღევის სრულ 5 საათზე წყალ-გაღმა უბნის კომიტეტის ბინაზე (ორპირის ქუჩა, საყვარელიძის სახლი) მოხდება, ჭავჭავაძის ქუჩის უბნის მცხოვრებთა საზოგადო კრება. გასარჩევია საყურადღებო საკითხები.

ასარჩევია უბნის კოლექტივი.

**რეალური სასწავლებლის უბნის კრება.** კვირას, 23 მარტს, საღამოს 5 საათზე რეალური სასწავლებლის დარბაზში მოხდება ხსენებული უბნის მცხოვრებთა კრება. ასარჩევია საუბნო კოლექტივი. პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

## აზერბეიჯანი

**ეროვნული ურთიერთობა.** ეროვნული ურთიერთობა, განჯის გუბერნიაში თათარ-სომეხთა შორის მეტად მწვავდება. ამ მოვლენას ხელს უწყობს, როგორც გავრცელებული პროვაკაცია, ისე აგრარული რეფორმა, რასაც ბეგები ამწვავებენ.

**კაბინეტის კრიზისი.** აზერბეიჯანის კაბინეთის კრიზისი გრძელდება. მინისტრ თავმჯდომარის პორთფელი უნდა გადაეცათ სახალხო განათლების მინისტრს განსიბ ბექ-უსუბექოვს, მაგრამ მან უარი ანაცხადა.

**სომეხთა ფრაქციის შეკითხვა აზერბეიჯანის პარლამენტისადმი.** 3 მარტს სომეხთა ფრაქციამ შეეკითხა აზერბეიჯანის პარლამენტს განჯის გუბერნიის ამბების შესახებ. ფრაქცია სთხოვს აზერბეიჯანის მთავრობას, რათა მან გამოიკვლიოს, თუ რამდენად მართალია ის ცნობები, ვითომ განჯის გუბერნიაში თათართ და სომეხთა შორის განხეთქილება იზრდება. თუ ეს მართალია, შეიძლება სამწუხარო შედეგები მოჰყვეს, კიდევ სისხლის ღვრა და სომეხთა მცხოვრებთა აოხრება მოხდეს, ამიტომ ფრაქცია წინადვე აფრთხილებს აზერბეიჯანის პარლამენტს, რომ ეხლავე მიიღონ ამისთვის შესაფერისი ზომები.

## კატეში ღამეში.

ქარში მთვარე რკალავს ქვეყნის ძვირფას ხრიგალს.
ყრუდ ნებდება ღამე აზვირთებულ გრიგალს.

სიმწვლურე ანთებს სახოისთავზე კატებს.
მზის ფოსფორი თვალში ავზნებობას ჰმატებს.

ზურგი ხოლად ბზინავს გახვეული შავში.
სფინქსის ტანით ტირის... ტირის როგორც ბავში.

ხან იფეთქებს ჟინით. გაჰკრავს მსუბუქ ჯირითს.
მისდევს ლუნწს და ვაჟარ სატრფოს პირისპირით.

იჭერს. კლანჭში ახრობს. ჰკანცავს. დატეხს. დაღლის.
არ ალაოდებს დამთვრალს ავი ღრენა ძაღლის...

ხეზე მარდათ რბიან: ატკბობთ ჭრილი ტყავი.
შიშით შვინდის შტოზე ყრუდ ყრანტალებს ყვავი.

ყვავთან ძაღლის ყეფას, ქარში მთვარის ყვავილს,—
კვლავ აყოლებს კატა კანტი კუნტად კნავილს.

რა მოელის სოფელს? ალბათ ბნელი ბედი!
კატა კატას ტირის! ყმუის ძაღლი ყბედი!..

შალვა კარმელი.

## გადატეხილი სურვილი.

მხიარულ ნაზ სახით ვბრძანებლობ მსახურებს,
შენ გელი, ლოდინში ვნება გულს ახურებს,—
ლხინი მაქვს, ქეიფი, ძვირფასი ხალილი.

შენ გელი, ლოდინში ვნება გულს ახურებს.
მე თვითვე მაკვირვებს უსაზღვრო წადილი,
და, თვალი მოწყვეტით შენს ლურჯ გზას გაყურებს.

ლხინი მაქვს, ქეიფი, ძვირფასი ხალილი..
ერთად ვართ... მაგრამ რა? ღმერთსა ვგმობ ყვედრებით:—
რომ ახლა სურვილი, უბრალო ვედრებით.

რაჟდენ გვეტაძე.

## ბიბლიოგრაფია

### ახალი წიგნი „მნათობი“

ამ დღეებში ხელში ჩამივარდა სახელმძღვანელო „მნათობი“ ანბანს შემდეგ საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ოცხელის, სამ. ყიფიანის და დ. ოყრეშიძის მიერ და გამოცემული ქუთაისში 1918 წელს.

გამოცდილი პედაგოგების მიერ შედგენილმა წიგნმა აღმიძრა სურვილი გავცნობოდი მის შინაარსს და განმეხილა პედაგოგიური თვალთაზრისით მისი ნაკლი და ღირსებანი.

„მნათობის“ გაცნობამ ჩემზე მოახდინა კარგი შთაბეჭდილება როგორც თავის გარეგ ფორმით და ფიზით ასრულებული სურათებით ისე თავის საუცხოო ენით და შინაარსით. ამ წიგნის მასალის სისტემა და საფუძველი სრულიად განსხვავდება ჩვენში აქამდე შემოღებული სახელმძღვანელოთაგან და დამყარებულია ფსიხოლოგიისა და პედაგოგიის ახალი მოთხოვნილებაზე.

ჩვენში ასეთი ნაწარმოებნი, ე. ი. ანბანს შემდეგ სახმარებელი წიგნები დღემდე ემორჩილებიან ერთგვარ მეთოდს, რომლის მიზანია მისცეს ბავშს მატერიალური ცოდნა. ასეთი წიგნის საშუალებით ყმაწვილი ეცნობა თითოეულ საგანს, მის გარე და შინა თვისებას, მის სარგებლობას და სხ. წიგნში საგნიკათ დაცულია საგანთა და მოვლენათა კლასიფიკაცია, სასაუბრო-საპასუხოები და ანდაზების მიხედვით შედგენილი პაწია მოთხრობები ამ მეთოდის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ უშინსკის „როდნო ესლოვო“ და ი. გოგებაშვილის „დედა—ენა“.

პრაქტიკამ და ახალმა პედაგოგიკამ ასეთი მეთოდი სცნო უვარგისად და იგი თანდათან განდევნილ იქნა, როგორც ევროპა-ამერიკის, ისე რუსეთის სკოლებიდან. ამ ქვეყნებში გამოცდილმა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ მეთოდით შედგენილს და დალაგებულ მასალას ბავშები ვერ ეკიდებიან შესაფერი ხალისით და ხშირად ვერც იგებენ ზოგიერთ რამეს. ასეთი მასალა ბავშის არსებაში იშვიათად იწვევს რაიმე ინტერესს და ნაკლებათ ძრავს მის გულისყურს, ოცნებას და შემოქმედებას. ბავშის ფსიხიკა ამ შემთხვევაში პასიურია, უმოქმედო, მისი სულიერი სფერო მირინდულია; ბავში ითვისებს და იზეპირებს ასეთ მასალას უგულოდ, ნაძალადევათ, ამიტომაც ამ შეთვისებას ნაყოფი უფერულია და ვერ ამჩნევს შესაფერ კვალს.

სრულიად წინაამდეგ მოვლენას წარმოადგენს დღეს საყოველთაოდ მიღებული ახალი მეთოდი. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ენა, კაზმული სიტყვიერება, ბავშისთვის ნაცნობ საგნებსა და მოვლენებზე აგებული, სურათებით და გასაგები ენით აფერადებული. ასეთი ენა, სურათი, ლექსი თუ მოთხრობა ბავშისთვის ადვილი გასაგებია, მიმზიდველი და სახალისო, აქ იღვიძებს ბავშის სულში ინტერესი, სურვილი მასალის შეთვისებისა და ეს არის სწორედ ის უხილავი ბერკეტი, რომელიც სოცრად უადვილებს ყმაწვილს საგნის შეთვისებას, ენის ვარჯიშს და ცოდნის მიღებას, ამავე დროს კი ახარჯვინებს ენერგიის მინიმუმს. აქ ბავშის ინტელექტი, ე. ი. გულისყური, ოცნება, აზროვნება, მეხსიერება და შემოქმედება მოძრავია და მოქმედი; აქ ბავში აზროვნობს, ოცნებობს, სტკბება და ცოცხლობს ამ აზროვნებით. ასეთი გაკვეთილი მისთვის გონების სასიამოვნო ვარჯიშია და არა მძიმე შრომა და იძულებითი შეთვისება. ამრიგად ნასწავლი საგანი სტოვებს ღრმა კვალს ბავშის სულიერ არსებაში. ამიტომაც ამ ახალი მეთოდს დიდი უპავია

---

საანგარიშო დროის განმავლობაში კონტროლის საწინასწარრევიზიოდ შემოვიდა 3283 ასიგნობა 80.271.831 მ. და 12 კაპეიკისა. ამ საერთო ჯამიდან გამორიცხულ იქნა კონტროლის წინასწარი რევიზიის შემდეგ, ასიგნობების მოხპობით ან ასიგნობებში გასაცემად დანიშნულ თანხების შემცირებით, სულ 406,273 მან. 02 კაპ. დანარჩენი ჯამიდან (79.865.558 მან. 10 კაპ.) 1919 წ. 1 თებერვლისათვის დამტკიცებულია 50.602.131 მ. 25 კაპ. გადადებულია შემდგომი რევიზიისათვის 16,411,320 მ. 25 კაპ. დაუმტკიცებელია, ე. ი. უარყოფილია 12,852,105 მან. 89 კაპ.

შემდგომი რევიზიისათვის გადადება გამოწვეული იყო უმთავრესად გზათა მოსამსახურეების დამატებითი დაჯილდოვების ხარჯებით, რომელსაც სწარმოებდა საექსპლოატაციო კრედიტიდან და უნდა დაფარულიყო შესაფერისი წყაროებიდან, აგრეთვე იმით, რომ ხარჯების უმრავლესობა სასწრაფოდ იყო მოთხოვნილი და ყველას განხილვა წინასწარ რევიზიის დროს შეუძლებელი ხდებოდა და კონტროლი იძულებული იყო ნაწილი ხარჯებისა შემდგომი დოკუმენტალური რევიზიის დროისათვის გადაედო.

ხოლო როცა შეეხება ასიგნობათა დაუმტკიცებლობა, მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: რევიზიის დროს აღმოჩნდა გასაცემ ფულის ზედმეტი გამოანგარიშება, ხარჯების გადატანა არა სათანადო წყაროზე, ან მათთვის თავისუფალ კრედიტის უქონლობა; აგრეთვე ზედმეტი ხარჯები ექსპლოატაციისა და ამ ხარჯების დასაფარავად კრედიტების არა თავის დროზე გახსნა.

ფაქტიური რევიზიით გასინჯულ იქნა 41 სადგური და 507 მატარებელი; სადგურებზე აღმოჩნდა, რომ შემოსავალი ყველა არ იყო დანიშნულებისამებრ შეტანილი, ხოლო მატარებლის რევიზიის დროს აღმოჩნდენ მრავალი უბილეთო მგზავრები. ორივე შემთხვევაში კონტროლის მოთხოვნით გადახდილი და შეტანილ იქნა ხაზინაში 11,000 მან. გარდა ამისა შემოსავალთა შემდგომი რევიზიის წყალობით შეენახა ხაზინას 16972 მან. 57 კაპ. შემოსავალი, ხოლო სულ ერთად 28,000 მან. სადგურების რევიზიის დროს აღმოჩენილ იქნა უსარგებლოდ გაჩერებული დატვირთული ვაგონები, სადგურის საწყობებში ბარგი და ამანათები არა სათანადო დოკუმენტებით და სხ.

რკინის გზის მართველობის სხვადასხვა განყოფილებათა საქმის წარმოების რევიზიამ აღმოაჩინა მისი სრული არეულობა და უწესრიგობა, რომელიც არის შედეგი, ერთის მხრით მოსამსახურეთა მიერ თავის მოვალეობის ასრულების უცოდინარობისა, ხოლო მეორეს მხრით მათი შრომის ნაყოფიერების დაცემისა.

მთავარი ბუხჰალტერიის საშემოსავალ-გასავლო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მოულოდნელმა ფაქტიურმა რევიზიამ დიდი დეფექტები აღმოაჩინა, მათ შორის ბოროტმოქმედებაც.

ამას გარდა კონტროლის მიერ დანიშნულ იქნა რკინის გზის ყველა საქონლის საწყობების სრული ფაქტიური რევიზია. ეს რევიზია ჯერ არ გათავებულა, მაგრამ მან უკვე აღმოაჩინა დავთრებში შეუტანელი სხვადასხვა მასალები რამოდენიმე მილიონ მანეთისა. ხსენებული ქონება ახლა შეაქვთ დავთრებში, კონტროლის მოთხოვნილებით. ამავე რევიზიამ აღმოაჩინა აგრეთვე დიდ ფულად დირებული სხვადასხვა საქონლის დანაკლისი.

საანგარიშო დროის განმავლობაში კონტროლის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა რკინის გზის მართველობის ხაზების სხდომებზე, სადაც განხილულ იქნა სულ 966 მოხსენება.

კონტროლის პროტესტებსა და შენიშვნებს ის შედეგი მოჰყვა, რომ 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში პირად შემადგენლობის შესანახათ და სხვადასხვა საჭიროებისთვის ნავარაუდევი გასავალი ამოშლილ და შემცირებულ იქნა — 2.700.000 მანეთით, ხოლო 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში — 15 ნახ. მილიონ მანეთით.

ეს არის უმთავრესი მხარეები და შედეგნი სახელმწიფო კონტროლის მოქმედებისა. თუმცა კონტროლს საფუძველი ჩაყრილი აქვს, მაგრამ არ შემიძლიან ვთქვა, რომ მისი ორგანიზაცია დასრულებული და საქმეების მოწყობა ყოველ მხრივ დამთავრებული იყოს. მთავარი შეუსრულებელი მორიგი საქმეა მუდმივი წინასწარი და ფაქტიური რევიზიის მოწყობა სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებში,— თფილისს გარეთ. ამ საქმის ჯერ-ჯერობით მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს მცოდნე და გამოცდილ მოხელეთა ნაკლებობა შეადგენს.

ამ ნაირათ, მოქმედება ჩემი და მოადგილეობა ჩემდამი რწმუნებულ სახელმწიფო კონტროლისა საანგარიშო დროის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში:

1) გატარებულია კონტროლის რეფორმა, ჩვენი სახელმწიფოს მოთხოვნილებასთან შეფარდებული, რაიცა გამოიხატა 1918 წ. 6 დეკემბრის კანონში.

2) მიღებულია ზომები სახელმწიფოს ნგარიშ წარმოების და ანგარიშთა წარმოდგენის სისტემის მოსაწესრიგებლად და ანგარიშების სარევიზიოთ წარსადგენად, დაწყებულია აგრეთვე მათი შემოწმებაც.

3) გამოკვლეულია მრავალი დარგი სახელმწიფო მეურნეობისა, სადაც აღმოჩენილია არევ-დარევა, უთავლყუროპა და ბოროტ-მოქმედება, რის შესახებ თავის დროს უკვე მოხსენდა სათანადო უწყებათა და მთავრობას საჭირო ზომების მისაღებად.

და 4) წინასწარი რევიზიით აგრეთვე ხაზინისადმი წარდგენილ მოთხოვნილებათა განხილვით და ფაქტიური რევიზიით აცილებულია უსწორო, უდროვო ან მიზანშეუწონილი ხარჯები საერთო ჯამით 32 მილიონ მანეთზე მეტი.

მე თვითონ ვიცი, რომ მოხსენებული შედეგები დიდი არაა, მაგრამ იმ გარემოებაში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩემი პატარა ძალ-ღონე და დიდი მეცადინეობა, სამწუხაროდ მეტს ვერ გასწვდა.

მოვახსენებ რა ყველა ამას საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომელიც ამიერიდან უზენაესი პატრონი და გამგებელია სახელმწიფოს ყველა დარგისა და მათ შორის კონტროლისაც, აქვე წარმოვადგენ ჩემს, ვითარცა სახელმწიფო კონტროლიორის, თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდს და სულით და გულით ვინატრი, ვიმედოვნებ და მოველი, რომ უზენაესი ძალი უფლებისა და ავტორიტეტის პატრონი კრება სახელმწიფო კონტროლის მოწყობის საქმესაც ისეთ სიმაღლეზე აიყვანს და განამტკიცებს, როგორც ეს ჩვენი სახელმწიფოს მოთხოვნილებას შეეფერება.

# რას წერენ გაზეთებში.

„ხალხის მეგობარი“

როდესაც ჩვენმა მენშევიკებმა დამფუძნებელ კრებაში 130 დეპუტატიდან 109 კაცი თავისი გაიყვანეს, პირზე ღიმილმა გადაურბინა მათ და აღფრთოვანებულებმა გადმოისროლეს:

— ხედავთ, ქართველი ერის 85 პროცენტი ჩვენ მოგვყვება, ეს არყოფილი მაგალითია პარტიათა ზრდა-განვითარების ისტორიაში.

გეხარდეთ, 109 კაცი გაგიყვანიათ ხოლო იმას კი არ ჩაკვირვებიან, რომ ამ 109 კაცში ცხრამეტიც არაა სათანადოთ მომზადებული იმ სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობისათვის, რომელიც დღეს უნდა სწარმოებდეს. მაგრამ რას დაგიდევსთ სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობას და დიდებით შემოქმედებას ის ხალხი, რომელიც კენჭებს ითვლის და არ სწონის, პასუხისმგებლობას რღვევს, ხოლო არას აკეთებს, ვისაც გარდაუვალ კანონათ დაუსახავს სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის საქმე ყოველ მოუმზადებელს ჩაუგდოს ხელში, მაგრამ ეს მოუმზადებელნი აუცილებლათ სოციალ-დემოკრატის იარლიკს უნდა ატარებდეს.

რაგვარი ექსპერიმენტების წინაშე არ დაგვაყენეს იმის გამო, რომ როგორმე სასურსათო საქმე მოეგვარებინათ მათ? სასურსათო დიკტატორიც კი დანიშნეს ბ-ნი არდიშვილი, მაგრამ მათი ცდა უნაყოფო გამოდგა და თუ ამ მხრივ ვინმეს გაუკეთდა რამე, ეს ისევ თვით ამ დიქტატორებსა და სასურსათო საქმის სულის ჩამდგმელთ.

ვერ შესძლეს არა თუ ახალი რაიმეს შექმნა, არამედ არ ყოფნის უუსკრუპულისაკენ უქნეს იმ სიმდიდრესაც თავი, რომელიც რუსეთის მემკვიდრეობამ ჩვენ გვარგუნა.

„სოც.-დემოკრატი.“

ბათუმის მხარე და თვით ბათუმი არ უნდა გამხდარიყო ჩვენთვის სადავო ტერიტორიად, მაგრამ ეს მაინც ასე მოხდა. მას შემდეგ, რაც ბათუმი ოსმალებს დაატოვებიეს, მის ბატონ-პატრონათ რაღაც საბჭო გახადეს, რომელშიაც შედიან რუსები, სომხები, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები. ეს საბჭო განაგებს დღეს ბათუმის ბედს: მას სათავეში უდგია, რუსი, ცნობილი უფლება-აყრილი ადვოკატი მასლოვი. რომლის წყალობით საბჭო განსაკუთრებულ პოლიტიკას აწარმოებს, ისეთ პოლიტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება, ცხადია, ჩვენს ინტერესებს. საბჭოს მეთაურს დენიკინისკენ უჭირავს თვალი და ბათუმშიაც ნიადაგს ამზადებს აქეთკენ. ჯერ იყო და სურსათის საქმე ბათუმში საბჭომ იგდო ხელში, მიუხედავათ იმისა, რომ ამისთვის იქ არსებობდა უკვე მომზადებული აპარატი, ორგანიზაცია.

ის ცდილობს გვერდი აუხვიოს ყოველგვარ დემოკრატიულ ორგანიზაციას; მასლოვები ცდილობენ ხელი შეუშალონ ყოველგვარ ქართულ საქმიანობას ბათუმში, წინ გადაეღობონ მას.

ბათუმიდან მოსული ცნობებით, ბათუმის საბჭოს თავმჯდომარე მასლოვი ბათუმის მმართველ წრეებსა და მოხალისეთა ჯარის შორის მტკიცე კავშირის შესაქმნელათ მიემგზავრება სამხრეთ რუსეთში, მოხალისეთა სარდლობასთან მოსალაპარაკებლათ, ვითომდა იქიდან რაიმე სანოვაგის მიღებისთვის.

ეს ცნობა ბევრ რამეს გვეუბნება. პირველად ყოვლისა კი იმას, რომ ბათუმში დენიკინის ბუნაგს ამზადებენ. ამგვარათ ბათუმში საფრთხე მზადდება და ის, ცხადია, პირველად ყოვლისა ჩვენს წინააღმდეგ იქნება მიმართული.

---

პირველი ადგილი განათლებულ ქვეყნებში და რუსეთშიაც კი.

ა, ამ ახალ მეთოდზეა აგებული წიგნი „მნათობი“. მასში სავსებით დაცულია ის თანდათანობა სურათებისა და აზროვნებისა, ის იდეოლოგიური სისტემა, რაც საუკეთესოდ ცნობილია დღეს პედაგოგიკაში და მიღებული განათლებულ ქვეყნებში. ეს წიგნი ყმაწვილს აწვდის ოჯახის შკოლის და ტოლ ამხანაგთა ურთიერთობის სურათებს, შემდეგ კი აჩვენებს ეზოს, ბოსტანს, ბაღს, ვენახს, ყანას, ტყეს, სოფელს, ქალაქს, მდინარესა და ზღვას, უშლის ბუნების და ცხოვრების სურათებს; ამ შემთხვევაში დაცულია სასტიკად პედაგოგიური პრინციპი, ბავში თანდათან გადაჰყავს ნაცნობიდან უცნობ საგნებსა და მოვლენებზე. აქ არის საუბარი ყველა იმ საგანზე, რასაც ბავში ხედავს ირგვლივ. ამ რიგად ეს წიგნი აწვდის ბავშს მთლიანად ბუნების და ცხოვრების სურათებს. აქ შეკრებილი მასალა და პედაგოგიურ პრინციპზე დალაგებული არის ბავშისთვის საინტერესო და ადვილათ გასაგები.

როგორც პროზა ისე ლექსები შედგენილია ნიჭიერად და ფერადოვანი ენით დაწერილი. აქ ბავში არამც თუ ადვილათ ითვისებს წიგნის მასალას, არამც თუ ღვიძდება ხალისი და ინტერესი ცოდნისადმი, არამედ ამასთან ერთად სწავლობს მშვენიერ ქართულს, ითვისებს მარტივს, ფერადოვან ენას, რომელიც უძვირფასესი ნიჭია, და საუკეთესო ორგანო ადამიანის სულის, მისი ინტელექტის, გრძნობების და ნება-სურვილის.

ბავშის გონებაში წაკითხულ მასალის უკეთ აღსაბეჭდათ თითქმის ყოველი ლექსი და მოთხრობა დასურათებულია მეტადრე პირველ ნაწილში და სურათებიც, მცირე გამონაკლით, საუცხოოდ არის შესრულებული. „მნათობში“ მოთავსებულია იმდენი მასალა, რაც შეიცავს ერთი წლის კურსს. ეს გეგმაც ფრიად გონივრულია, რადგან ორი ან სამი წლის მასალა ერთ წიგნში დაგროვილი მეტად აზნერებს ბავშებს. ყმაწვილის ფსიხიკა თხოულობს, რათა მას ყოველ წლივ მიეცეს ახალი წიგნი და ეს ბოლოც აულიათ ბავშისათვის „მნათობის“ ავტორებს.

დაბოლოს არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ მცირეოდენ ნაკლზედაც: წიგნში ნახმარია რუსული სიტყვები: შკაფი, კრაოტი და ეგზამენი (გვ. 7 და 17) ამათ ნაცვლად უნდა ეხმარათ: განჯინა ანუ კარადა, ტახტი და გამოცდა. აგრეთვე რამდენიმე სურათიც უვარგისია; მაგ., დედა (გვ. 2) მეტად უშნო და ულამაზოა, ქეთო (გვ. 8) გაგონებს ხნიერ ქალს და არა ბავშს, ტასო (გვ. 20) რაღაც უცნაურია და ტანთან შედარებით აქვს დიდი თავი, ულვიანი ლორი (გვ. 41) თავის სისუქნით სრულიად არა ჰგავს ჩვენი სოფლის ფერდებ შელეწილ ღორუჩუნებს.

ამ მცირე დეფექტებს ავტორები, იმედია, გაასწორებენ შემდეგ გამოცემაში. საერთოდ კი ეს წიგნი ლამაზი გამოცემულია და თავის გარეგნობით ახდენს კარგ შთაბეჭდილებას. შიგ დართული ზოგიერთი სურათები პირ და პირ ხელოვნურია; მაგ., ბებია და შვილიშვილი, ნუცა და სანდრო, ძაღლი და კატა, მაწვნის გამყიდველი და სხ.

საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ „მნათობის“ ავტორებს, ეტყობათ მეტად ბევრი უშრომიათ ამ წიგნის გამო, რადგან არც ერთი სახელმძღვანელო არ არის ის ძნელი შესადგენი, როგორც ანბანს შემდეგ საკითხავი წიგნი. ეს ძვირფასი ნობათი კი უძღვნეს გასულ წელს თავისუფალ სამშობლოს სამმა გამოცდილმა პედაგოგმა.

მოულოცავ ჩვენს შკოლებს და ქართველ ბავშებს ამ ახალ წიგნს, ავტორებს კი ვუსურვებ ნაყოფიერ მუშაობას „მნათობის“ მეორე ნაწილის შესადგენათ.

ხიმ. ქვარიანი.

---

## ფოთი.

პორტს დღეს სრულიათ არ ეტყობა სიცოცხლე. გემების შემოსვლა სრულებით შეწყდარია. კვირაში თითო-ოროლა გემი თუ შემოიხედავს პორტში. ცალკე ავდრებმა შეუშალეს ხელი მოძრაობის გამოცოცხლებას; მეორე მხრით ისეთი შემთხვევები, როგორც „პროგრესსის“ ალმაშფოთებელი გაძარცვა ვერავის გაამბედვინებს ფოთში შემოსვლას. გასაკვირია ის რომ „პროგრესის“ მძარცველები, შუადღეზე, არხეინად გადმობრძანდნენ გემიდან ნაპირზე თითქმის ჩვენ საზღვარზე, სადაც მათ ცხენებიც—კი ყავდათ მზად და სადაც ანგარიშით სანაპირო რაზმის პიკეტები უნდა ყოფილიყვნენ.

— საზღვაო სასწავლებლის მოწაფეებმა და მასწავლებლებმა შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნეს დამფუძნებელ კრებას: „ჩვენ, საზღვაო სასწავლებლის მასწავლებელნი და მოწაფენი აღფრთოვანებით მივესალმებით ქართველი ერის ლტოლვათა განხორციელებას: თავისუფალ საქართველოს დაფუძნებას.

ვუსურვებთ დამფუძნებელ კრებას ნაყოფიერ მუშაობას ხალხის საკეთილდღეოთ. ჩვენ მზათა ვართ მთელი ჩვენი ძალღონე და ცოდნა მოვიტანოთ სამშობლოს საკურთხეველზე“.

არ შემიძლია არ ავღნიშნო თუ რა დაბრკოლებანი ვადაილახენ წინ ამ დეპეშის გაგზავნას. ეს დეპეში მიტანილ იქმნა ტელეგრაფში საღამოთი. საჭირო იყო მისი სწრაფად გადაწერა და ამისთვის—კი საჭირო იყო რასაკვირველია საწერ-კალამი, რომლის ნახვა აქაურ ფოსტის კანტორაში, არამც თუ ღამე, დღეც—კი შეუძლებელია, როდესაც ტელეგრაფის მოხელეს მივმართე თხოვნით, რომ კალამი მოეცა, (რისთვისაც კაი ხანი ფანჯარაში რაკუნი მომიხდა) მან რიხიანათ ამიხსნა, რომ ის ტელეგრაფში იმყოფება და ფოსტასთან არავითარი საქმე არ აქვს.

დიდხნის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, დარბილდა მოხელე და კალამი მომცა. დავწერე და დაუწყე ფანჯარას კაკუნი. გამოიხედა მოხელემ. აიღო დეპეში გამოთვალა და სთქვა ამდენი და ამდენი უნდა გადიხადოთო. მივართვი ხუთთუმნიანი (გადასახდელი 20 მან. იყო). ხურდა არ არის ო. ვუთხარი ხვალ მოვალ წავიღებ მეთქი. არაო. რადგან კასსირი წასულია და ფასალები კასსის თან აქვსო. მეორე დილით განმეორდა ისევ ის ისტორია მხოლოდ იმ განსხვავებით რომ ეხლა უკვე წასულიყო „კასსირში“ ძალი უნებურათ კაცი თავისთავს კითხვას მისცემს: რა არის ეს სახელმწიფო დაწესებულება თუ საწვრიმალო?

— ფოთში მარხვა შიმშილათ გარდაიქცა; აღარც ხორცი იშოვნება, აღარც პური და აღარც სხვა რაიმე სანოვაგე და სწორეთ დიდ [illegible] ადგენს თუ რით ცხოვრობს [illegible] ნუ თუ პაერი და წყალი [illegible] ლ სანგებათ გარდიქცა.

მარინი.

## ღია ბარათი.

ქ-ნ ლარისა ქუთათელაძეს.

ჩემს მუსიკალურ დილას, 16 მარტს, თქვენ, ალბათ წინდაწინვე შემუშავებული აზრით, დაესწარით და დემონსტრატიულათ უკმაყოფილება განაცხადეთ შოპენის ნაწარმოებთა ჩემ მიერ შესრულების ვითომდა „უვარგისობაზე“.

— გემოვნებაზე არ კამათობენ, სთქვა კატამ თავის ტანის ლოკვის დროს..., მაგრამ თქვენმა მაშინდელმა მოქცევამ მაინც დამსახურებული გაკიცხვა გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

რაც შეეხება თქვენს აზრს ჩემი დაკვრის შესახებ, მას მე სრულებით ანგარიშს არ ვუწევ მე. მაგონდება ასეთი სურათი: პატარა ფინია დიდ სპილოს უყეფს, სპილო კი ეუბნება ფინიას: „რა სულელი ხარ ფინია, შენ არ ფიქრობ იმაზე თუ რა დიდი განსხვავებაა შენსა და ჩემს შორის და გინდა კი ჩემის დაწყებაო“ —.

საჭირო იყო, რომ ეს სურათი მუდამ თვალწინ ჰქონდეთ თქვენ. ნუ თუ თქვენ ჰფიქრობდით თქვენი მაშინდელი მოქცევით ინტელიგენტურ საზოგადოების წინაშე, რომელიც აღტაცებული იყო ჩემი ტალანტით, ჩემი სახელის გატეხას, როგორც პიანისტის—პედაგოგის და კომპოზიტორის, რომლის მოღვაწეობა მუსიკალურ ასპარეზზე არაერთხელ საუკეთესოთ იყო მიჩნეული მუსიკალურ ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლების მიერ?..

ვათავებ რა ამ წერილს ნებას, ვაძლევ ჩემს თავს მოგცეთ გულწრფელი რჩევა: საჭირო პატივისცემით მოეპყარით ასეთ პირებს და ისარგებლეთ ყოველი შემთხვევით, როცა კი რაიმეს გადმოღება შეიძლება მათგან. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ჯერ კიდევ შკოლის ხკამიდანაც ამ განთავისუფლებულხართ და ეხლა თქვენი მომავალ მუსიკალურ მოღვაწეობისათვის საჭირო ცოდნის შოპოვებისაკენ მიმართული თქვენთვის ჯერ კიდევ ძალიან ძალიან გრძელია.

ესაა ჩემი გულწრფელი რჩევა თქვენდამი ქალბატონო ქუთათელაძე. ამასთანავე გთხოვთ დაიხსომოთ, რომ მას გაძლევთ 77 წლის მოხუცი მუსიკალური მოღვაწე. *)

ფორტ. სკოლის გამგე კომპოზ. ლეონ დ. კნინა.

*) ვბეჭდავ ამ ღია ბარათს, როგორც [illegible] დილის და დამსახურებული კომპოზიტორისას.
რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.


## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ბ-ნ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება, დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეწყვიტოს გაზეთის გზავნა.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

## „საქართველო“

1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.
მისამართი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 5), (ქართული ქარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: ტფილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.


მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელისა ქუთაისში.